ბრძანება #01-51/ნ - "რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის N135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მიღებულია - 02/08/2017 **ძალაშია** - 03/08/2017

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

"რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის N135/ნ ბრძანებაში (სსმ III, 10.04.2009, N45, მუხ. 509) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული N2 დანართის (იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმები და წესი, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა) პირველ მუხლს დაემატოს მე-7 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

"7. კონკრეტული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ დაწესებულებას/სასწავლებელს უფლება აქვს, განახორციელოს საექიმო სპეციალობის მაძიებელთა მზადება შესაბამის საექიმო სპეციალობაში **უცხოეთში მიღებული დიპლომისშემდგომი განათლებისათვის** (პროფესიული მზადების) დადგენილი **დამატებითი დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის ფარგლებში, მინიჭებული კვოტის ზემოთ,** იმ პრინციპით, რომ საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რაოდენობა თითოეულ მოდულზე პასუხისმგებელ პირზე არ აღემატებოდეს ამ ბრძანების N2.2 დანართით (აკრედიტაციის კრიტერიუმები) განსაზღვრული მოთხოვნის 50 %-ს".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
დავით სერგეენკო